№ 236 ნოემბერი 6, სამშაბათი 1890 ნოემბერი 6, სამშაბათი № 236

# ივერია


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაგვეთად და ყერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჟუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


მეორმოცე დღეს თ. ვახტანგ ვახტანგის ძის ჯამბაკურიან-ორბელიანის გარდაცვალებისა, ოთხშაბათს, ამა 7 ნოემბერს, დილის 10 საათზე იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი.

(1—1)

## წლიური საზოგადო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, თანხმად საზოგადოების წესდების მე-11 § სა, დანიშნულია ამ წლის ნოემბრის 14, დილის 12 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1-ლ სექტემბრიდგან 1889 წლისა 1-ლ სექტემბრამდე 1890 წლისა;

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯ-აღრიცხვაზე 1889/90 წლისათვის;

გ) არჩევანი საზოგადოებას ახალის წევრებისა (9—1)


## „დასავლეთი“

ახალი რესტორანი, კურაზე, მებურნუთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თთვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიძგაური

(40—5)

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 6 ნოებერს

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

### თილისმის ხანი

კომედ. 3 მოქ. გ. ერისთავისა.

დასასრულ

### ლეკური

მოთამაშენი: ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, ტატიშვილისა: ბ-ნნი სვიმონიძე, გედევანოვი, განდელაკი, საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე


## ახალი ამბავი

*** რკინის გზის მმართველობამ საჭიროდ დაინახა, რამდენიმე დროებითი სადგური გამართოს ბაქოსა და ტფილისს შუა, რადგან ამ ბოლოს დროს საქონლის მატარებელთ მიმოსვლა დიდად გაძლიერდა.

*** გუშინ წინ, კვირას, ტფილისის პოლიციამ შეიპყრო ორი დედაკაცი, რომელთაც მოპარული ტანისამოსი გაეტანათ ბაზარში და ჰყიდდნენ.

*** ტფილისში მყოფმა ბ-ნ ლიუბიმოვის საოპერეტო დასმა ამ ბოლოს დროს ცოტა ფრთები შეისხა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქ-ნი ლარიზინისა ჩამოვიდა. გუშინ-წინ მეორედ ითამაშა ლარიზინისამ და აშკარად გვაჩვენა, რომ კარგი არტისტი-ქალია, კაი ხმა აქვს და თავსაც მოაწონებს საზოგადოებას. საზოგადოდ საოპერეტო დასს არა უჭირს რა, როლები რომ უფრო უკეთ გაანაწილონ ხოლმე არტისტებს შორის. მაგალითებრ, გუშინ-წინ წარმოდგენილმა სამ-მოქმედებიანმა ოპერეტმა ოფენბახისამ „მშვენიერმა ელენემ“ კარგად ჩაიარა, ლამაზად შეასრულეს თავისი როლები თვით ლარიზინისამ, რომელიც ელენეს როლსა თამაშობდა, თუმცა წინა დღეს ბეტინას როლში (La Maseotte) უფრო უკეთესი იყო, და ქ-ნი სტროინოვაც ძალიან მოხდენილი პარისი იყო. სამწუხაროდ ბიაზი და ტუმანსკი აიაქსების როლებსა თამაშობდნენ, თუმცა პირველი საუცხოვო კალხასია და მეორე— მშვენიერი მეფე მენელაი. ამ ჟამად-კი კალხასის მოთამაშე ზჩეტინინი როროდონსა ჰბაძავდა და ცუდადაც ჰბაძავდა, მენელაის ამსრულებელი ნექდანოვი-კი გროშად არა ღირდა.

*** პირველი წარმოდგენა საერო თეატრისა გადაუდეიათ, რადგან ვერ მოუწყობილან ერთიან. ეს წარმოდგენა ხუთშაბათს იქნება გამართული. ქართულს წარმოდგენებს გარდა, ამ სცენაზედ რუსული პაწია წარმოდგენებიც გაიმართება ხოლმე.

*** დღეს, 6 ნოემბერს, საღამოს 7 საათზედ დანიშნულია სამეურნეო საზოგადოების მორიგი კრება. კრებას განსახილველი აქვს მორიგი საქმეები და ამასთანავე მოისმენს მოხსენებას ბ-ნ გორბაჩოვისას: აბრეშუმის წარმოება ამიერ-კავკასიაში. არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ ამ კრებას.

*** კვირას, 4 ნოემბერს, ტფილისის საქალაქო საბჭოს დარბაზში იყო არჩევანები პირველ რიგის ხმოსნებისა. სიებში 74 ამომრჩეველი იყო ჩაწერილი. არჩევანებზე დაესწრო მხოლოდ 47 კაცი. კენჭი უყარეს 45 კაცს. ამათში არჩეულ იქმნა 24 კაცი: თამამშევი მ. ი. ფითოევი, ფრიდონოვი, წოვიანოვი, მანთაშევი, თამამშევი გ. მ. ალიხანოვი, ევისენგოფი, როტინოვი, ხალათოვი, ნიკოლაძე, სარაჯოვი, მაჩაბელი ი. გ. ანანოვი, ყორღანოვი, ივანენკო, ჩოლოყაშვილი, წურინოვი, ტერ-ასატუროვი, მიქელაძე, აივაზოვი, ცხვედაძე, ქართველიშვილი და იზმაილოვი.

*** ავსტრიის ელჩი სიგისმუნდ ფონ-როტი გუშინ-წინ ღამეს ფოსტის მატარებლით ბაქოში გაემგზავრა.

*** ჩვენს ტფილისს გასულს ოქტომბერში შემოსავალი ჰქონია 54567 მან. და 83 კაპ. ხოლო პირველ იანვრიდგან პირველ ნოემბრამდე— 597235 მან. და 88 კაპ. ამავე დროს ტფილისის გამგეობას ოქტომბერში დაუხარჯავს 54863 მან. და 70 კაპ. და პირველ იანვრიდგან პირველს ნო-

## ფელეტონი

### ზოგიერთი ზნე-ჩვეულება ბარის ოსებისა.

თერგს გაღმა და გამოღმა სცხოვრებენ ბარის ოსები. სულ თხუთმეტამდე სოფელი იქნება ამ ოსებისა. ამ თხუთმეტს სოფელში რვა სოფლის მცხოვრებნი მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისანი არიან და შვიდისა— მაჰმადიანთ სარწმუნოებისანი, ყველანი ხელის გულსავით დაცემულს ვაკე-მინდორზედ სცხოვრებენ; ამათი მამულები, კაცმა რომ შეხედოს, ძალიან დიდის ნაყოფიერებისა ეგონება, ისეთი შავი და რბილია, მაგრამ სულაც არ არის ისეთი, როგორიც შეხედულობა აქვს, რადგანაც ზოგან ერთ-ორს მტკაველზედ რომ ამოთხაროთ, ქვიშა ამოდის.

ბარის ოსი მეტად ამაყი და თავმომწონეა, კაცს ადვილად არ დაუთმობს თავისს შეურაცხყოფას. თუ იმ წამსვე არ გადაუხადა მაგიერი მოწინააღმდეგეს, ლაჩრობას დასწამებენ მეზობლები.

ამათი უმთავრესი საქმე უფრო ხვნა-თესვაა. სხვა საქმე, ხელობა არ მოიპოვება. დურგალი, ხურო, მჭედელი და სხვა ხელობის კაცი ამათში ძვირია. ყველაზედ მომეტებულად უფრო სიმინდს სთესავენ. უკანასკნელს ბარის ოსს, რომელსაც ერთი ხარიც არა ჰყავს, ორი-სამი „დესეტინა“ სიმინდი მაინც უნდა ჰქონდეს დათესილი; ვინც შეძლებულნი არიან, იმათ ხომ ხუთი-ექვსი და რვა „დესეტინაცა“ აქვთ ხოლმე; სიმინდს თუმცა ესე ბლომად სთესავენ, მაგრამ მოვლა-კი რიგიანი არ იციან. სიმინდს ჯერ ხშირსა სთესავენ, და როცა ერთის გოჯის ოდენა ამოვა, მერე შეაყენებენ დიდ-კბილებიანს ფოცხს (ფოცხს ზოგს რკინის კბილები აქვს და ზოგს ხისა), შეაბამენ შიგ ხარებს ანუ ცხენსა და ფოცხავენ ამოსულს სიმინდს, ფოცხი ათხელებს და ზოგს მორეულ ბალახსაც ჰგლეჯავს. ამ ნაირად უნდა დაჰფოცხოს პატრონმა სიმინდი ორის კვირის განმავლობაში სამჯერ. ეს დაფოცხილი სიმინდი რომ ხამმა კაცმა ნახოს, ეგონება, სწორედ მტრობით უქნია ვისმეო. ფოცხისგან გალახული სიმინდი ძლივს-და წამოდგება ხოლმე ფეხზედ; შემდეგ როცა ნახევარ არშინის სიმაღლე გაიზრდება, მაშინ შიგა და შიგ მორეულს ბალახს გამოსთოხნიან. ბარის ოსებმა არ იციან როგორ უნდა გათოხნონ სიმინდი, როგორ უნდა გაათხელონ და ან გარშემო მიწა როგორ უნდა შემოუყარონ. ეს არის მიზეზი, რომ ჯერ ფოცხისაგან გალახული და ფესვებ დამძრული სიმინდი და მერე ხეირიანად გაუთოხნელ-გაუთხელებელი ხეირიანს ტაროს არ აღარ იკეთებს. რიგიანი მოვლა რომ იცოდნენ სიმინდისა, მოსავალი კარგი მოვიდოდა.

ბარის ოსებში ვენახი არ იციან, რადგანაც ზამთარში ჯანლი და ჰირხლი არ ახეირებს, თუ არ დაიმარხა მიწაში, და რადგაც მიწაში დამარხვა ძნელია, ვერა კისრულობენ აქეთ ვაზის გაშენებას; რაც შეეხება ხეხილის ბაღებს, ეს-კი ძლიერ ხშირდება დანდათან.

ბარის ოსები თუმცა სარწმუნოებით ორ ნაწილად განიყოფებიან, მართმადიდებლად და მაჰმადიანებად, მაგრამ მომეტებული ჩვეულებანი, მამა-პაპისაგან დარჩენილნი, ისევ ერთნაირი აქვთ ყველას. ძველებურის ჩვეულებით დღესასწაულებს როგორც მართმადიდებელნი ასრულებენ, ისე მაჰმადიანნი: წმ. მოწამე გიორგის (ვასჯირჯი), წინასწარმეტყველს ილიას (ვასილა), წმ. მოწამე თეოდორეს (თუთრ), იოვანნე ნათლის მცემელს (ფიდუან), და ზოგს სხვა წმინდანსაც როგორც მართლ-მადიდებელნი იხსენიებენ და ლოცულობენ, ისე მაჰმადიანნიც. ქალის გათხოვება და ქორწილი, მიცვალებულზედ მისვლა ნუგეშის საცემლად, სისხლის ძიება ერთმანეთში, უმცროს-უფროსობა, ხათრი და სხვა, როგორც მართლ-მადიდებელთ იციან, ისე მაჰმადიანებმაც.

ყველა წმინდანში ბარის ოსები უფრო მომეტებულს პატივსა სცემენ წმ. დიდ მოწამე გიორგის, (ვასჯირჯი). მისი დღესასწაული ბარის ოსების ანგარიშით, ნოემბრის თთვის ხან შვიდში და ხან ათში მოდის ხოლმე. გიორგობის დღესასწაულს სამს დღეს დღესასწაულობენ. ამ დღეს ბარის ოსის სახლში, ერთის დღის სარჩოც რომ არა ჰქონდეს, მაინც უსათუოდ ერთი ცხვარი (ვინც შეძლებულია სამ დღეს სამს დაჰკლავს) უნდა ჰყავდეს დაკლული და შინაურ სასმელისა არაყი და ვინც შეძლებულია, იმას ლუდიც უნდა ჰქონდეს საგანგებოდ მომზადებული. ამ დღეს ერთმანეთში მიწვევა-მოწვევა იციან მეზობლებმა; რამდენსამე სახლს ერთის უბნისას პირობა აქვს, ერთად გაატარონ დრო; ერთად შეიკრიბებიან და ისე იხდიან სამღვთოს პატივსაცემად წმ. გიორგის დღესასწაულისა. წმ. მოწამე გიორგის სახელს დედაკაცი ვერ ახსენებს, თავის თავს ულირსად სთვლის მის ხსენებაზედ და ამიტომ დედაკაცები წმ. გიორგის კაცების ხატს უწოდებენ ( ლაგთიძუარ ). აქაურების აზრით წმ. გიორგი ცხენოსანის კაცის ამხანაგია მგზავრობაში; დღესასწაულის დღის სამღთოში უცხო სტუმარი ბარის ოსებს დიდად ახარებს, რადგანაც, მათის აზრით, უსტუმროდ არც ჰირი ვარგა და არც ლხინი. წმ. ილიას (ვაცილა) დღესასწაულიც იციან იელისში, მხოლოდ არა იმ დღეს, რა დღესაც არის ნამდვილი ილიაობა, არამედ რამდენისამე დღის წინად. ამ დღესაც სამღვთოები იციან ბარის ოსებმა, ისე როგორც გიორგობის დღესასწაულში ერთმანეთის პატიჟით; ილიას (ვაცილა) ევედრებიან, რომ ცა და ღრუბელი დაგვიმშვიდე, დასეტყვისაგან დაგვიფარეო. წმ. თევდორობა (თუთრ) იციან დიდ მარხვის პირველს კვირაში, სამს დღეს, ორშაბათს სამშაბათსა და ოთხშაბათს. ამ დღეებშიაც იციან სამღვთოებში, სასმელად აქვთ არაყი, ლუდი და კაპარი (ბურალი). რადგან მარხვა არის, ხორცის მაგიერად ქრისტიანებმა თევზი იციან; წმ. თევდორეს ევედრებიან, „გაზაფხულის პირი მშვიდობით დაგვიყენე და გადამდებ სენთაგან დაგვიფარეო. წმ. იოვანნე (ჲიდუან) ნათლის მცემლობა იციან აგვისტოში სამღვთოების გადახდითვე; იოანნეს ევედრებიან, რაც მომკეს და მოთიბეს, მშვიდობით ჩააკლებინოს და სხვ...

ქალის გათხოვების შესახებ ჩვენა გვქონდა ლაპარაკი 1888 წლის „ივერიის“ 204 №-ში და ეხლა საჭიროდ აღარა ვრაცხთ, განმეორებით განვაგრძოდ საუბარი ამაზედ. ვიტყვით ორიოდე სიტყვას მიცვალებულთა შესახებ. ავადმყოფს თუ გაუძნელდა ავადმყოფობა, შეატყო პატრონმა, რომ მოსარჩენი პირი აღარა აქვსო, წინადვე მოამზადებს ქელეხისთვისა საკლავს და სასმელს. რაც უნდა ღარიბი იყოს ადამიანი, რაკი მიიცვლება, უსათუოდ ახალის ტანისამოსით უნდა შემოსონ და ახლები ჩააყოლონ საფლავში; თუ ავადმყოფი მცირეს ხნის ავადმყოფობით გარდაიცვალა, მაშინ საჩქაროდ უნდა იყიდონ სასმელ-საკლავი; ბა-

ემბრამდე-კი 597095 მან. და 4 კაპ. ე. ი. ქალაქის კასსაში პირველ ნოემბერში ყოფილა სულ 140 მან. და 84 კაპ.

*** გუშინ წინ, კვირას, დილით ბაქოს საფოსტო და სახალხო მატარებლით ჩამოვიდა ტფილისში კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: საუფლის წულო მამულების დეპარტამენტის უფროსი, გენერალ მაიორი თავ. ვიაზემსკი, საიმპერატორო კარის მინისტრის საგანგებო მოხელე დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ნ. ნ. ბერი, ვ. ლ. პაპოვი და სხვ. ეს კომისია იყო იმიერ კასპიის მხარეს, სადაც დაათვალიერა საუფლის-წულო მურღაბის მამულები. აქედგან, როგორც ამბობენ, ეს კომისია გაემგზავრება წინანდალში, იქაურის მამულის დასათვალიერებლად.

*** ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ. გარსევან რატიანისაგან კიდევ ორი თუმანი განსვენებულ ი. დავითაშვილის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 75 მან., ამიანად შესდგა 95 მან. აქვე ვბეჭდავთ, ფულის გამომგზავნელის თხოვნით, შემომწირველთა სიას: იოსებ გველესიანმა ერთი მან., საშა სუკიასოვისამ ორი მან, ერასტო ჰავჰანიძემ ერთი მან., ატემ პოლოსოვმა ერთი მან., იაგორ ჭელიძემ ერთი მან., ილარიონ ელისოვმა ერთი მან., გეურქ აირაპეტოვმა ერთი მან., ალექსანდრე ახნაზაროვმა ერთი მან., კარაპეტ ვართანოვმა ერთი მან., დავით ფარსეილოვმა ერთი მან., ეგნატე მიქელაძემ ერთი მან., გიორგი აბულაძემ ერთი მან., არტემ დემუროვმა ერთი მან., ზუგდიდის მცხოვრებმა პეტრე ქვანიამ ერთი მან., იოსებ თევზაძემ ერთი მან., ბექან ასათიანმა ათი შაური., ავეტიქ არესსატკისოვმა ერთი აბაზი, იოანე ლომთათიძემ ორი შაური, ტეიბუხ ტაპატაძემ ერთი აბაზი, ვასილ ნიორაძემ ერთი აბაზი, თეიმურაზ კალანდაძემ ათი შაური, პავლე მენგრელიძემ ხუთი შაური, ალექსანდრე სულუხიამ ექვსი შაური, კოსტანტინე შოშიტაიშვილმა ექვსი შაური, იაგორ ხოჯაფარუხოვმა ათი შაური, ავეტიკ ვართანოვმა ერთი აბაზი, ალექსანდრე აზურხანოვმა სამი შაური, მიქელა გაჩეჩილაძემ ერთი აბაზი, ივანე ებრალიძემ ორი აბაზი. სულ 20 მანეთი.

*** **სურამ-ხაშური**. ამ დღეებში სურამში გაუტეხეს ქურდებმა დუქანი პ. ფანჩულიძესა და წაიღეს ვერცხლის ქამრები, ხანჯლები, რევოლვერები და სხვ. 140 მანათისა. ამას წინადვე გაუტეხეს დუქანი ერთს ჰონს, წაიღეს ჩოხა და 15 მან. ფულად. 3 ნოემბერს მინდორში იპოვეს გვამი ერთის მოკლულის თათრისა. ხანჯალი კეფაში ჰქონდა დაკრული. როგორც აღმოჩნდა, ერთის თვეის მოკლული ყოფილიყო. ამბობენ, რომ ეგ თათარი ჩოდარი იყო და საქონელს ჰყიდდაო. ამ რამდანისამე ხნის წინად პატრონები ეძებდნენ სურამში, პოლიციასაც გამოუცხადეს მის დაკარგვის ამბავი და ცალიერები დაბრუნდნენ. დუქნების გამტეხნი ჯერ ჯერობით პოლიციამ ვერ აღმოაჩინა.

*** „Нов. Обоз“-ე ამბობს, რომ 2 ნოემბერს საფრანგეთის პრინცებმა ნაპოლეონმა და მიურატმა დაათვალიერეს თავ. ზ. ა. ჯორჯაძის ღვინის საწყობიო და დარჩნენ იქ ერთს საათზე მეტს ხანსაო. ნაპოლეონს უნახავს სხვა და სხვა ღვინის ჰაშნიკები და ყველას ღირჩება ზედ-მიწევნით უცვნია.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ ჩვენის რედაქტორს მ. ა. უსპენსკის და თანამშრომელს ნ. ი. ნიკოლაძეს ჩააბარეს საბრალმდებელო ოქმი, რომლის ძალითაც ორივენი სამართალში არიან მიცემულნი ბათუმის მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფის ბ-ნ გუსსონის საჩივრის გამო.

*** ნოემბრის სამს, პოლიციის მეხუთე ნაწილში ხიდო ხალათოვი წაეჩხუბა სიმონ გორგისა და ხანჯლით დასჭრა. დამნაშავე შეიპყრეს, დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## აბრეშუმის წარმოება გურიაში

როდის შემოიღეს ჩვენში აბრეშუმის კეთება, ან ძველად თუ იყო, საკვებიმებელი სარწმუნო ისტორიულის ცნობების უქონლობის გამო, დანამდვილებით ძნელია თქმა. როგორც მოხუცებულები მოგვითხრობენ არ ახალია, ძველია; წინად მომეტებულად წმინდა აბრეშუმისა ან აბრეშუმ-ნარევ სამოსელით იმოსებოდნენ და კაი ძალი ფულიც შემოჰქონდა ამ წარმოებასაო. ჩვენ არ გვახსოვს, რომ როდისმე კარგს ყოფაში ყოფილიყოს: თან და თან ეცემოდა, უკან-უკან მიდიოდა; ამ ხუთი-ექვსი წლის წინად სულ გაუგულგრილდნენ, მიანებეს თავი, იშვიათს ოჯახებში თუ აკეთებდნენ ცოტას, უფრო საკერავ ძაფის გულისათვის. ამ დრომდამ დახმარება აღმოუჩინა მთავრობამ ჩვენ მხარეს: ოზურგეთში დააარსა სამაგალითო საყაჭე და სოფ. მასწავლებლებსაც ასწავლა ჭიის მოვლა-აღზრდის წესები. ჩვენის მასწავლებლების უმრავლესობას შეძლებისა და გვარად არ დაუკლია დახმარება: სკოლის შენობაშიაც დაისვეს ყაჭი და შეგირდებს ასწავლეს, ხალხსაც რჩევა მისცეს. ამ საქმისთვის მიეყოთ ხელი და წესიერად მოვლის წესები გაეცნეს. გასაჩიანად შეიგნეს ყაჭის წესიერად მოვლის წესები და ბევრმაც მიჰყო ხელი ამ საქმეს. აბრეშუმის ჭიის აღზრდას აქ ჰქავს ეწეულობს ხელს, თუთის ხეებიც კარგად ხარობს. ყაჭის მოვლა ღირსების დამამცირებელ საქმედ არ მიაჩნიათ მანდილოსნებს, ასე წარმოიდგინეთ, რომ ზოგი ბრწყინვალე თავადის მეუღლენიც-კი არ თაკილობენ ამ საქმეს. მიუხედავად ამისა ჩვენში ცოტა მოდის აბრეშუმი. არა თუ საკმაოდ ვერ აჯილდოებს გარჯა-მუშაობას, ხშირად ღალატიანია: შრომა-ჯაფა და წვა-დაგვა მეაბრეშუმეს უქმად ჩაუვლის ხოლმე. ამის თავი და თავი მიზეზი არის უვარგისი ჭიის თესლი. ყველასათვის ცხადია, რომ დაზიანებული თესლიდგან გამოყვანილი ჭია, რაც გინდ კარგს ვითარებაში იზრდებოდეს და მეცნიერულად შემუშავებულის წესით მოვლა ჰქონდეს, მაინც ვერ იხეირებს. ჩვენში თესლებს ცელულიარულის წესით არ ამზადებენ. შორიდგან თესლის გამოწერა და გადატან-გადმოტანა, თუ გინდ უტყუარისა, ბევრნაირად უხერხულია და მოუწყობელი: თუ ადრიანად მოგივათ და ისეთს ადგილას დაგირჩებათ შენახვა, სადაც ტემპერატურა იცვლება, ზომიერი სითბო არ არის, ან სინოტივეა, გაფუჭდება, თუ მოგვიანებით მოგივათ, შეიძლება გამოჩენილი იყოს და თესლების მაგიერ სანახევროდ ცოცხალი და სანახევროდ დახოცილი მური მიიღოთ. გსთქვათ წამოღებაზე არაფერი დაუშავდა და რიგიანს ადგილასაც შეინახეთ, ნუ გგონიათ, სავარგის თესლიდგან გამოგვეყავს ჭიაო.

მდგომარე წლის მარტის თთვეში, სოფ. მასწავლებლებმა შეჰკრიბეს ფულები სოფლებში, გაუგზავნეს ტფილისის სააბრეშუმო სადგურის გამგეს ბ-ნს შავროვს და თან სთხოვეს ამ ფულებით, რაც მოვიდეს, გამოგვიგზავნეთ კარგის ჯიშისა, სრულიად საღი და დაუზიანებელი აბრეშუმის თესლიო. მოუვიდათ ორი სამი ჯიშის თესლი, გაანაწილეს იმის კვალობაზე, ვის რამდენი ფასი ჰქონდა მოტანილი. ერთგვარის ჯიშის თესლი, რომელიც ნახევარზე მეტი იყო, სრულიად დაზიანებული და უვარგისი გამოდგა; ასეთი თესლი აღმოაჩნდათ ოზურგეთის სამაგალითო საყაჭეში, რამდენსამე სკოლებში და ბევრგან ოჯახებში. როცა ცახზედ ასვლის დრო მოუახლოვდა, ჭიაბი ერთიან დაიხოცნენ, არც ერთი პარკი არ გაუკეთებიათ, დარჩენილ თესლიდგან გამოყვანილმა ძალიან კარგად იხეირა. ადვილად წარმოიდგენთ, დაზარალებულნი, კერძო მეაბრეშუმენი გამომწერლებს მადლობას არ ეტყოდნენ და კეთილის მეოფელად არ დასახავდნენ. ამ დროს როგორც სააბრეშუმე სახლების დასათვალიერებლად, აგრეთვე პარკების საყიდლად ბ-ნი შავროვი მოვიდა გურიაში. მისი გამოგზავნილი თესლიდგან რაც ყაჭი წახდა, თესლის უვარგისობას მიაწერა. დაანუგეშა დაზარალებულნი და უთხრა, გულს ნუ აცრუებთ ამ საქმეზეო. ეს თესლი მე თითონ გამოწერილი მქონდა საფრანგეთიდამ, ალოიზის სააბრეშუმო ქარხანაში იყო დამზადებული, რა გაეწყობა ამაზედ რომ უცხოელს საჩივარი დავუწყოთ, დიდს ვერაფერს დავაკლებთ და არცა ღირსო. დაჰპირდა მომავალის წლისათვის ყველას უფასოდ გამოგიგზავნით თვითონ ჩემს სადგურში მომზადებულს სანდო თესლსაო.

გურიაში ყოფნის დროს ბ-ნმა შავროვმა ბევრს უთხრა ამდენი და ამდენი ფუთი პარკი გამომიგზავნეთ ჩემს სახელობაზედ ტფილისში, გავსინჯავ და როგორც ეღირება ფასს გამოგიგზავნითო. გაუგზავნეს, მაგრამ ყველას არ მოუვიდა დროიანად ფასი. სხვებზედ მომეტებული აბრეშუმის პარკი, თვისი ნაკეთები და სხვისი, სულ რვა ფუთი გაუგზავნა ნიგოითის მასწავლებელმა. ერთს თთვეს შემდეგ მოაგონა წერილით, პასუხი არ მოუვიდა. შეეჭვიანდა, იქნება პარკი არ მისულა დანიშნულებისამებრო. გადაუმეტებლად რომ გსთქვა, ათის მასწავლებლის წერილი უპასუხოდ დარჩა. 10 აგვისტოს აბრეშუმის კეთების უფროსის ხელ-ქვეითისაგან მოუვიდა პასუხი: „თქვენს წერილებს ყველას ვიღებთ, პარკებიც მიღებული გვაქვს, მაგრამ უფროსი ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება, ამ დღეებში მოველით და ის იქნება, მოგივათ ფულებიო.“ მერე უგზავნა წერი-

---

რის ოსი ძნელად გააჩერებს მიცვალებულს მესამე დღემდე, უსათუოდ ან იმავე დღეს უნდა დაასაფლაოს და ან მეორე დღეს. ერთმანეთისა დიდი ნუგეშის ცემა იციან და ყურის გდებაც მიცვალებულისა. გარდაიცვლება თუ არა ვინმე სოფელში, თუნდა გადამდების სენითაც, მაინც მოერიდება არ შეიძლება მიცვალებულისა. იმ წამსვე შეიკრიბება მთელი სოფელი, როგორც ნათესავნი, ისე სხვები, კაციან-ქალიანად, მიიტანენ მიცვალებულის კუბოსთვის ფიცრებსა და, გააკეთებენ კუბოს, ზოგს გაჰგზავნიან საფლავის გასაჭრელათ, ისე რომ მიცვალებულის პატრონს არცკი შეატყობინებენ; მიცვალებულს, რამდენი ხანიც უნდა დარჩეს ზეზედ დაუმარხავი, მაიც არ მოშორდებიან თავისი სოფლელები დამარხვამდის, და აძლევენ სხვა-და-სხვანაირად ნუგეშს ჭირისუფალს. ერთის სოფლიდან რომ მეორე სოფელში მიელენ კაცები სამძიმრისთვის, ასე მიუსამძიმრებენ მიცვალებულის პატრონს: მოსულები დადგებიან მწკრივად, რიგზედ ჯარის-კაცებივით, ხელები ძირს აქვს ჩაშვებული ყველას, ყველა წინ დაიცქირება და დგას განაბულნი; ამ დროს წამოვა მიცვალებულიანთაგან ერთი ორი კაცი გარეშე სოფლიდგან მოსულებისკენ, მოვლენ და ოთხი-ხუთი საჟენის მოშორებით პირის-პირ დაუდგებიან. ესენიც ჩუმად არიან პატარა ხანს; მერე ერთი მათგანი სამძიმრისთვის მოსულებს მადლობას ეტყვის ნუგეშის-ცემისთვის; ახლა სამძიმარზედ მოსულებისგნითაც ერთი უფროსი ცოტა წინ წამოდგება, მარცხენა ხელს მაღლა აიღებს და იტყვის: „რუხსაავგოდ“ ე. ი. ნათელში იყოსო. და მარჯვენა მხარეს მოტრიალდება. ამითი თავდება სამძიმრის თქმა. სამძიმარზედ მოსულებში თუ მიცვალებულის ახლო ნათესავია ვინმე, ტირილით და ქვითინით მიდის იქ, სადაც მიცვალებული ასვენია. შემდეგ, თუ ქელეხია, სამძიმრისთვის მოსულებს სთხოვენ და მოაცდევინებენ პურის საჭმელად, თუ არა-და, მაშინვე ბრუნდებიან შინ.

ბარის ოსებში დედაკაცებმა ტირილი ასე იციან: ჯერ რიგ-რიგად ჩამოიტირებენ მოთქმით, მერე დამწკრივდებიან ორ-პირად კუბოს აქეთ-იქითა მხარეს; მესამე პირი სახლის შემოსავალს კარებთან გაელენ გარეთ და გრძლად და მწკრივად დადგებიან ჯარის კაცებსავით; ამ დროს დედაკაცებს კაბისა და პერანგის სახლები გადაკეცილები აქვთ და, ვინც უფრო მიცვალებულის ახლო გულ-შემატკივარი ნათესავია, იმას თავი მოხდილი აქვს და მარტო თავ-წასაკრავით აქვს წაკრული. ამ დროს მიცვალებულთან მდგარ დედაკაცებიდან ერთი რომელიმე დაიწყებს და იტყვის: „დადაი“-ო. ამ თქმაზედ სხვანიც გაიმეორებენ და იტყვიან: „დადაი“-ო და, რამდენსაც დადაის იტყვიან, იმდენი ყველამ ორივე ხელები უნდა გაირტყას თავ-პირში; დედაკაცების ხმა თანასწორად, შეუშლელად უნდა ისმოდეს. ვისიც ნათესავია მიცვალებული, იმან უფრო ძლიერ უნდა ირტყას ხელები თავ-პირში, რომ მით დაამტკიცოს მაყურებელთ წინაშე გულ-შემატკივრობა გარდაცვალებულისათვის. ვინც უფრო გაბედვით იცემს პირისახესა და თავში ხელებს, ის უფრო საქები დედაკაცია. ახლა ის წყება, რომელიც გარედ დგას, მიცვალებულისაკენ მოდის ნელა და, რამდენსაც იტყვიან „დადაი“-ო, იმდენი უნდა გადადგან ფეხი. ეს ერთი წყება რომ მივა მიცვალებულთან, მიცვალებულს ყველამ უნდა ხელი დაადოს და დადგებიან თავიანთ ალაგას, ასე რომ ახლა მეორე წყება, შინ მდგომნი გამოვლენ კარებთან, გარედან შემოსულები მათ ალაგას ჩადგებიან, და ასე უნდა მოიქცეს ყველა დედაკაცი. მიცვალებული თუ კაცია და რძლები ჰყავს, რძლებმა „და დაის“ თქმაზედ გარედ კარებთან უნდა დაიჩოქონ და ისე უნდა მოდიოდნენ, პირისახეზედ და თავში გამომეტებით უნდა იცემდნენ ხელებს. ვინც ლოყებს დაიკაწრავს და სისხლს დაიდენს, ის უფრო საქებია და გულიც იმას მეტად შესტკივა გარდაცვალებულისათვის. ძნელად მოხდება, რომ გარდაცვალების დღესვე არ გადიხადოს ბარის ოსებში მიცვალებულის პატრონმა ქელეხი. ქელეხი მდიდარმაც და ღარიბმაც უსათუოდ უნდა გადიხადოს. თუ არ გადიხადა, ჩხუბში დაცინვით წამოსძახებენ: „შენ რა კაცი ხარ, შენი მკვდარი მშიერი გყავსო“. ქელეხში, სულ რომ ცოტა, ოთხი ძროხა ან ხარი და რამდენიმე ცხვარი უნდა იყოს დაკლული. გარდა ამისა, მიცვალებულის ახლო ნათესავიც ხშირად უკლავს საკლავს. შესაწევრების შეწევაც იციან ხოლმე მიცვალებულის პატრონისთვის მეზობლებმა და ნათესავებმა: ზოგმა ცხვარი, ზოგმა ფული და ზოგმა ნამცხვარი და არაყი. ესეთივე ჩვეულება და წესი აქვთ მაჰმადიანთ ოსებსაც, მხოლოდ სხვა წირვებში-კი განსხვავება აქვთ ერთმანეთში: ქრისტიანმა ოსებმა სხვა დროს იციან წირვები, მაჰმადიანებმა—სხვა დროსა...

სისხლის ძიება ბარის ოსებში ასე მოისპობა ხოლმე: კაცი რომ კაცს მოჰკლავს, კაცის მკვლელი, თუ გადურჩა მოკლულის გვარეულობასა, გაიქცევა ერთს ვისმე გამოჩენილს სახელოვანს კაცთან; მივა, მოიხდის ქუდს, ფეხ ქვეშ დაუგდებს, თვითონკი მუხლებზედ დაიჩოქებს და ეტყვის: შენი მკვდრის სტუმარი ვარ; ამ ნაირი საქმე შემემთხვა და მისტუმრეო, ამნაირის სტუმრად მისულის კაცის გაბრუნება დიდი სირცხვილია მასპინძლისათვის; მასპინძელს პირ-იქით თავი მოსწონს, რომ ამ ნაირმა გაჭირებულმა კაცმა შემწედ და მფარველად მონახა ის, და ამიტომ სტუმარი უნდა მიიღოს, რაც-კი შეიძლება, პატივი სცეს და დაიფაროს სიკვდილისაგან; ყოველი ღონის ძიება უნდა იხმაროს, რომ თავისი სტუმარი შეარიგოს მის მოსისხლეს. შემდეგ რამდენისამე ხნის გავლისა, კაცის მკვლელის მასპინძელი წავა მოკლულის სოფელში და სხვა სოფელშიაც, იქ იშოვნის სხვა პატივსაცემს კაცებს ამხანაგებად და ნებას სთხოვენ მოკლულის გვარს შერიგებისას. ამ კაცებს თუ მოკლულის გვარმა ნება დართო, მოსისხლეები თავთავისთვის ირჩევენ „მედიატორეებს“; მედიატორეები ჩამოართმევენ პირობას მოსისხლეთ, რომ რასაც ჩვენ გადავსწყვეტთ უარი ალარაზედ შეგვძლოთო და წაველენ ცალკე ერთს ალაგას, ისე რომ იმათ სჯასა და გადაწყვეტილებას გარეშე ხალხი არავინ უნდა უგდებდეს ყურს; მხოლოდ ერთი კაცი მეტი ეყოლებათ ორივე მხრით მართალ კაცად, რომ ორივე მხრის მედიატორეების სჯას ისმენდეს. ორივე მხრის მედიატორეები დაიწყებენ სჯას მოიყვანენ სხვა-და-სხვა მოსისხლეთ მაგალითებს; მოსისხლეები ერთმანეთში თუ ნათესავები არიან, იმათ სხვა ნაირად, ცოტა მცირედ გადაუჭრიან სამართალს; ან თუ უნებურად შემოაკვდა კაცს კაცი, იმასაც მცირე გადასახადი აქვს, რადგანც უნებლიედ მოუხდა კაცის კვლა; აგრეთვე თუ მოჩხუბართ ორივემ ერთმანეთი მოჰკლეს, მაშინ რასაკვირველია, ორივე გვარი გასწო-

ლი წერილზედ, დეპეშა დეპეშაზედ. 20 სექტემბერს მოუვიდა ხელ-მოსაწერი ფურცელი ფასის მიღებისა, თითო ფუთის ფასად იყო 15 მანეთი (ადგილზე უფრო მდარე პარკის ფუთი გაიყიდა 17 მანეთად.) სწერდნენ, ფულების მიღებაზედ ხელი მოაწერეთ და მალე მიიღებთო. ფულების მიღების ბარათი გაუგზავნა, მაგრამ ფული არ მოსულია დღემდისაც (30 ოქტომბერია). მონაწილეებს ეს არა სჯერათ, საყვედურით აავსეს და საჩივარსაც უპირობენ. როგორც ჩხედავთ მასწავლებელს არ შეუძლია ეს ფული იურიდიულად ქმიოს, მაინც დარწმუნებულია, რომ როცა იქნება, ამ ფულებს გამოუგზავნიან, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, პეტრეს მოსვლამდის პავლეს თავისი დაემართაო.

ჩვენში 3—4 მასწავლებელმა იცის ცელულიარულის წესით თესლის მომზადება. როგორც შევიტყვეთ, სასწავლებლების მთავრობას განუზრახავს მცოდნე მასწავლებლებს დაურიგოს ჭიის თესლის მოსამზადებელი მოწყობილება, ამასთანავე ააგოს ისეთი სადგური, რომ თესლის გაფუჭების ფიქრი არ იყოს. სასურველი, მალე აღსრულდეს ეს განზრახვა. რა თქმა უნდა, მსურველები თავის დროზე იყიდიან, უფრო იაფადაც დაუჯდებათ. (ეხლა ოთხ აბაზზე ნაკლებ არა ჯდება მისხალი თესლი) ღარიბისა და ხელ მოკლესათვისაც ხელ-მისაწვდენი შეიქნება, უფრო აღიძრება სურვილი და გავრცელდება მეაბრეშუმეობა. თუთის ხეები, ეხლა რომ არის მოუვლელი და გაველურებული, ისე აღარ იქნება, „პლანტაციებსაც“ გააშენებენ, ამოსახვევსა და ჭიის პარკში ჩასაკლავ მანქანებს შეიძენენ. მოსალოდნელია თანდა-თან აღორძინდება, აყვავდება, მუშტარსაც უფრო მოიზიდავს და სასიკეთო მოქმედებას იქონიებს ჩვენს ეკონომიურს ყოფა-მდგომარეობაზედ.

თეოფანე კალანდარაშვილი

◆◆

## ისტორიული მასალა მეფე ირაკლის ცხოვრებისა.

(დასასრული*)

ირაკლის სიხარულსა და იმედს, იოანე აბაშიძის მიერ მოსალოდნელს, აქვემარიტებს ბატონიშვილის გიორგის სიტყვა. 22 ნოემბერს აცნობებს ირაკლი მეფე იოანე აბაშიძეს „კოხტა ბელადის ძმა ასი კაცით წამოვიდა და დახედითო“. 28 რიცხვს ირაკლი აქებს იოანე აბაშიძეს „როგორც იმედი გვქონდა ისე გარჯილხარო“. 15 დეკემბერს გიორგი ბატონიშვილი ყურს მოჰკრავს, რომ დატყვევებულ ლეკთა შორის ერთი, ტყვედ მყოფი იოანე აბაშიძესთან,—არის კოხტა ბელადის ძმა და მის მოკვლას უბრძანებს. ცხადია, რომ ქართლთა და ნურსალბეგის შემორიგებაზედ რომ გულ დადებული ყოფილიყო მეფე ირაკლი, ამისთანა განკარგულებას არ მოახდენდა ბატონიშვილი გიორგი. სანაცვლოდ, თვით ირაკლი იტყუებს ლეკებს ხელში ჩასაგდებად, როგორც კოხტა ბელადის ძმა. იქ იმარჯვებს ირაკლის დინჯი, დარბაისლური მოსაზრება— „ჯერ დრო არ არის აქა—და აქ წასვლა, ამა და ამ საქმის შედგომაო“, ნურსალბეგის მოხდომა ბოდბეზე და ქართლთა ფხოველზე ჩვენის ფიქრით შედეგია კოხტა ბელადის ძმის მოკვლისა. ამ დროს ირაკლი ლეკ-ოსმალთ ებრძვის ჯავახეთისაკენ.

მეფე ირაკლი 1774 წ. ეტყობა მოსვენებულია ლეკთა და ოსმალთაგან. იგი სწერს იოანე აბაშიძეს შემდეგს წერილს:

№ 9. 1774 წ. ოკტომბრის 22-ს.

„ქ. ჩვენ მაგიერად ქეშიკჩიბაშს აბაშიძეს იოვანეს მრავალი მოკითხვა ეუწყოს. მერმე ღვთის მოწყალებით ჩვენს შვილს ლეონს ქორწილს უპირებთ ამ ცოტას ხანში. შენც უნდა გეეწვიო და შენი სახლობაც უნდა მოიყვანო და გვეწვიო, დაგვიანება არ იქნება. გიორგობისთვის ექვს, ან შვიდს გასულს აქ უნდა მოხვიდეთ მეტი დაგვიანება არ იქნება. ღვინობისთვის კბ. ქრონიკონს უკბ: მაწყევრათ გამოგვიგზავნია მეითრის შვილი ზაზა [ირაკლი]“.

ბატონიშვილი ლეონი იყო უკეთესი წარმომადგენელი სამეფო ოჯახისა; მის უდროვო სიკვდილს მიეწერება ირაკლი მეფის უიმედობა და დაბნევა უკანასკნელს წლებში. ირაკლი თვით გრძნობდა ლეონის სიკეთეს სამეფოსათვის და მის სიკვდილით ზარდაცემულმა თავშე მიტომ შემოიკრა ხელი და დაიძახა: „ჩემი ოჯახი ახლა დაილუპაო“.

ლეონ ბატონიშვილი დაიბადა 1756 წ. თებერვალში, მაშასადამე დაქორწილებულა თვრამეტის წლისა. 1772 წ. ლეონი და ანტონ კათალიკოზი რუსეთში იყვნენ ტრაქტატის შესადგენად, მაგრამ ლეონი წინაალუდგა წარმოდგენილს პირობებს. გარდაიცვალა თუ არა ლეონი (1781 წ.), ერთის წლის შემდეგ კიდეც შესდგა ლეონის მიერ დაწუნებული ტრაქტატი...

მღვ. პ. კარბელაშვილი

*) იხ. „ივერია“ №№ 232, 233, 234 და 235.

◆◆

## რუსეთი

1885 წლიდგან ემატება და ემატება გადასახადი საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილს სამეურნეო იარაღებს. რუსეთის მექარხნეები, სამეურნეო იარაღის მკეთებლები, დიდი ხანია სთხოვდნენ მთავრობას, საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილს იარაღებს ბაჟი დაადეო, მაგრამ 1885 წლამდე მთავრობა მაგრად იდგა და რამდენისამე მექარხნეს თხოვნას ყურადღებას არ აქცევდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ბაჟს დადება იარაღებზე გლეხებისთვის სამძიმო შეიქნებოდა და სარფას-კი მხოლოდ ათსა და ოცს მექარხნეს მისცემდა. 1885 წელს რუსეთის მექარხნეებმა თავიანთი გაიტანეს და მთავრობას ფუთზე—50 კაპ. ბაჟი დაადებინეს საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილს იარაღზე. უცხო სახელმწიფოებში ყველგან და ყოველთვის ისე იყო, რომ თუ მთავრობა ერთხელაც არის შეიწყნარებდა მექარხნეებისა და მრეწველების თხოვნასა და უცხოეთიდგან შემოტანილს საქონელზე ბაჟს რასმეს დაადებდა, ამ უკანასკნელების (მრეწველებისას) თხოვნას საზღვარი აღარა ჰქონდა: ითხოვდნენ და ითხოვდნენ ბაჟის მომატებას. რუსეთშიაც სწორედ ასე მოხდა. 1885 წელს დაწესებული ბაჟი ფუთზე 50 კ. რუსეთის მრეწველთა მალ-მალის თხოვნის წყალობით ამ ჟამად გუთნის იარაღებზე ფუთზე 70 კ. და ცელნამგალზე 1 მ. 40 კ. ამასაც არა სჯერდებიან და მთავრობას სთხოვენ, გუთნის იარაღებზე ბაჟი 1 მ. 40 კ. იყოსო და ცელ-ნამგალზე-კი 2 მან. 50 კ. ფუთზეო.

მართალია ყოველის ბაჟის შემოღება ტვირთს უმძიმებს გლეხკაცს, მაგრამ ისე-კი არა, როგორც სამეურნეო იარაღების ბაჟი და აი რისთვის: როცა სხვა საქონელს ბაჟი ემატება და ძვირდება, გლეხი იძულებული ხდება იმათ შესაძენად, სასყიდლად ერთის კოდის მოსავლის მაგიერ ერთ ნახევარი ან ორი კოდი გაიღოს და სხვა არაფერი: სამეურნეო იარაღებზე ბაჟის დადება-კი სულ სხვაა: ჯერ ერთი იარაღის ყიდვა უჭირდება და უძვირდება და მეორეც, იარაღის სიძვირისა ð უქონლობის გამო მოსავალი იმდენი აღარ მოსდის, რამდენიც უნდა მოსვლოდა. ამ შემთხვევაში გლეხს გაჭირება უორკეცდება, ერთის მხრით იარაღი ძვირდება, მეორე მხრით შემოსავალიც უმცირდება,! გლეხებს გარდა, სამეურნეო იარაღებზე ბაჟის მომატება ზარალს აძლევს აგრეთვე ამ იარაღით წვრილს მოვაჭრეებსაც: ამათ სული ეხუთებათ ბაჟების მომატებით, დიდის მექარხნეების მეტოქობას ვეღარ უძლებენ და იძულებული ხდებიან, მიკეტონ თავიანთი ქარხნები. ამის გამო დიდი მექარხნეები უფრო აძვირებენ იარაღებს, ღარიბი გლეხები სრულიად ვეღარა ყიდულობენ და ამას რა შედეგიც მოსდევს და უნდა მოჰყვეს, ეს ყველასათვის ცხადია და თვალსაჩინო.

ძნელად დასაჯერებელია, რომ მთავრობამ ათისა და ოცის მექარხნის გულისათვის, მხოლოდ მათის სარგებლობისა და სარფისათვის კიდევ აწიოს საზღვარგარეთიდგან შემოტანილს სამეურნეო იარაღებზე დაწესებული ბაჟი და რამდენისამე მილიონ გლეხის გაჭირვებას-კი ყურადღება არ მიაქციოს. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ფინანსთა სამინისტრო ამჟამად მაინც აღარ შეიწყნარებს რუსეთის მექარხნეთა თხოვნას სამეურნეო იარაღებზე ბაჟის მომატებისას („Р. Вѣд“.)

◆◆

## წვრილი ამბები

ბრაზილიის იმპერატორად ნამყოფი დონ-პედრო ამ ჟამად სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობს, თავმჯდომარეა პარიჟის მეცნიერებათა აკადემიისა და ბრაზილიაში-კი უმოწყალოდ ჰყიდიან საჯაროდ იმის სასახლის სხვა-და-სხვა ნივთებსა და ავეჯეულობას. ამას წინად დონ-პედროს სავარძელი, მშვენიერის ძვირფასის ხისაგან გაკეთებული, 70 თუმნად გაიყიდა.

— 1891 წლის 16—30 მარტს ლონდონში საერთა-შორისო გამოფენა გაიმართება სასტამბო საქმისა და ქაღალდის კეთებისა.

— ნიუიორკიდგან ჩიკაგოში აპირობენ მილები გაიყვანონ და ამ მილებით

---

რებული არის; მხოლოდ ორივე გვარნი ერთმანეთზედ გულ-ძვირად რომ არ იყვნენ, ამ ნაირი შერიგება უნდა მოხდეს, საზღაური არც ერთს არა ედება-რა; ვინც წინაპირველად დაარტყა, იმას მიუსაჯავენ წინაპირველა სუფრის გაკეთებასა და პატიობის მოთხოვნას მეორის წინაშე. არა უნებლიედ, არამედ ნებით ჩხუბში რომ კაცმა კაცი მოჰკლას, არა ნათესავი, არამედ სხვა, მისის სისხლის საზღაური (სისხლი სულ სისხლია, დიდისა იყოს თუ პატარასი, მდიდრისა თუ ღარიბისა) არის ოთხმოცი თუმანი; ერთის გარემოებით მცირდება სისხლის გადასახადი, თუ შესძლებს აღსრულება კაცის მკვლელის გვარეულობის წარმომდგენელთ; მაგალითად: ზოგ კაცის მკვლელს მედიატორეები გადაუჭრიან წაიდეს ერთის ან ორის თავის თანამოგვარეთა მოკლულის საფლავზედ, გადაეხვიოს და უთხრას: ჩვენ შენი სტუმრები ვართ საიქიოსაო. თუ ეს აღასრულა კაცის მკვლელმა, სისხლის გადასახადი მცირდება ამითი, მაგრამ, სამაგიეროდ, კაცის მკვლელსა და მის გვარს-კი ხალხში ხმა აღარ ამოეღებათ სირცხვილით, მაშინვე წამოსძახებენ: „აი თქვე მკვდრის სტუმრებოვო“. რადგანაც ასეთი წამოძახება დიდი სირცხვილია ბარის ოსებში, ამიტომ არავინ კისრულობს ამ საქმეს. რაც უნდა ბევრი იყოს გადასახადი, მაინც ისევ ფულით საზღაურს რჩეობენ. სისხლის სუფრა, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, ეღირება ოც-და ათი, ორმოცი თუმანი. სისხლის სუფრაზედ რამდენი კაციც უნდა იყოს მიწვეული, ეს ჯერ მედიატორების ნებაა, ისინი გადასწყვეტამენ ხოლმე, და მერე ორივე მოსისხლეს შეუძლიანთ მოიწვიონ, ვინც უნდათ და რამდენი კაციც უნდათ. სისხლის სუფრაზედ უნდა იყოს სულ რომ ცოტა, ორს კაცზედ ერთი ქათამი და ოთხზედ ერთი ინდაური ან ბატი. როდესაც ვინმე სისხლის სუფრას აკეთებს, ორი-სამი კვირის წინად ჩამოივლის სხვა-და-სხვა სოფელში და, როგორც მისი ნათესავები, ისე სხვებიც აჩუქებენ ინდაურს, ბატს, ქათმებს... ზოგი სოფელი ფულითაც შემწეობას აძლევს; ყოველს ზემოხსენებულს ხორაგს გარდა, სისხლის სუფრაზედ უნდა იყოს მთელი ცხვრები, ახალი დაკლული, ოთხს ან ექვსს კაცზე ერთი, და თითოც ღორად გამოსული ცხვარი. სასმელი უნდა იყოს: ლუდი, არაყი და ორნახადი არაყი. ეს სუფრა უნდა გაკეთდეს კაცის მკვლელის სახლში. სისხლის სუფრის გამართვისთვის მედიატორეები ვადას უნიშნავენ მოსისხლესა და იმ ვადისთვის უნდა მოამზადოს; როცა სუფრის მომზადების დღე იქნება, იმ დღის წინად მივლენ მოკლულის სახლში კაცის მკვლელი და მისი ძმა იმდენის კაცით, რამდენიც მედიატორეებს გადაუწყვეტიათ; მოკლულის სახლში უნდა იყვნენ ყველა წარმომადგენელნი მისის გვარისა. მოკლულის კარებზედ რო მივლენ, შესავალს კარებთან მოჰყვებიან ტირილს მაღალის ხმით, და ასე ტირილით შევლენ სახლში. აქ კაცის მკვლელი ქუდს იხდის, მიდის და მოკლულის დედას ძუძუზედ კბილს მოუჭერს და ეტყვის: მე შენი შვილის მაგიერიო. კაცის მკვლელის ძმა მოკლულის დედის წინაშე იხოქებს ქუდ-მოხდილი და ეხვეწება ტირილით: „მე შენი მკვდრის სტუმარი, მე შენი ღვთის სტუმარიო“... საქაოს თქვენ მაპატიეთ და საიქიოს იმან მაპატიოსო. თუ დედა არა ჰყავს მოკლულს, მამის წინაშე ამბობენ ამას. ამასვე ამბობენ დაჩოქით კაცის მკვლელთან მისულნიც სხვა გარეში ხალხის თანადასწრებით. შემდეგ მოკლულის პატრონებიც ეტყვიან: გვიპატიებია, საქაოს ჩვენ და საიქიოს იმასო... შემდეგ ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ და ეტყვიან: „ღმერთმა დღეის შემდეგ ისე გვაცხოვროს, როგორც მოსიყვარულე ნათესავნიო“.

სუფრის დღეს შეიკრიბებიან კაცის მკვლელის სახლში სისხლის სუფრაზედ მოწვეულნი. მოვა მოკლულის მამაცა ანუ ძმა და დასხდებიან სუფრაზედ; სისხლის საზღაურს ფულსაც მოიტანენ და სუფრაზედ დააწყობენ სრულად. სანამ პურის ჭამას დაიწყობენ, ადგება მოკლულის მამა, თუ ჰყავს, თუ არა და ძმა, აიღებს ფულს და რამდენსამე თუმანს დაუბრუნებს მომკვლელსა და იტყვის: ამდენი თუმანი ამა-და-ამ კაცებს (ჩამოსთვლის სახელს მედიატორებისას და სხვებისასაც) ხათრით მიპატიებიაო. ამდენი კიდევ ამა-და-ამ კაცის ხათრითაო და სხვა. დანარჩენს ფულს აიღებს მოკლულის პატრონი, ანუ სხვა ვინმე მის მაგიერად, და შეინახავს. შემდეგ მოუტანს კაცის მკვლელი თავის თასს (ნუაზენ) მოკლულის პატრონს, მწუხარებით სთხოვს კიდევ პატიებასა და და ორივენი ერთის სასმლით დაჰლევენ; ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთზედ ძვირი გული აღარ უნდა იქონიონ. შემდეგ იმართება პურის ჭამა; ასე თავდება ბარის ოსებში სისხლისძიება. ერთმანეთში მოხათრება და უფროსის პატივის-ცემა ასე იციან: საზოგადო სუფრის თავში სულ უფროსი უნდა დაჯდეს, მერე მოჰყვებიან რიგით ერთი-ერთმანეთის მომდევნოები და დანარჩენი უმცროსები ფეხზედ დგანან; როცა უფროსები გაათავებენ პურის-ჭამასა და წავლენ, შემდეგ უმცროსები დასხდებიან. სიტყვა-პასუხშიაც ეგრევე ეხათრება უმცროსი უფროსს, როგორც ჭამაში; ქალებშიაც ასე უმცროს-უფროსობა იციან; მამა თავის შვილს ვერ აიყვანს ხელში უფროსთან, სირცხვილიაო; დედ-მამა ხალხში შვილს ვერ იტირებს, ცრემლს ვერ გადმოაგდებს; რძალი მამამთილსა და უფროსს მაზლს ვერ დაელაპარაკება; გზაზედ ვინმე კაცი რომ მოდიოდეს, მამავალმა დედაკაცმა რომ დაინახოს, თუნდ ერთი გუთნის გაშლაზედ, წინ ვერ გადაუვლის, გზას ვერ გადაუჭრის კაცს: დიდი სირცხვილია; უნდა დადგეს ერთს ალაგას თავ-ჩაღუნული და ასე იდგეს, სანამ კაცი გაივლის და მხოლოდ მერე გაუდგეს გზას. ახალგაზდა ცოლ-ქმარნი უფროსთან ერთმანეთს პირდაპირ ვერ დაელაპარაკებიან და სახელს ვერ დაუძახებენ. კაცი თავის შვილს სახელს ვერ დაუძახებს, სხვაფრივ უნდა მოიხმოს, ან დასაქმოს...

ბარის ოსებმა ქვითკირისა და მიწური სახლები არ იციან, სულ ფიცრული სახლები აქვთ, გარედგან მიწით გალესილი და მერე კირით გათეთრებული; ზოგს კრამიტითა და ზოგს ჩალით აქვს დახურვილი შეძლებისამებრ. თუნდ ათნი ძმანიც სცოვრებდენ ერთად, ყველას ცალკ-ცალკე საწოლი ოთახი უნდა ჰქონდეთ, მეტადრე ცოლიანებს. უამისობა არ შეიძლება და დიდი სირცხვილიც არის, აგრეთვე სტუმრის მისაღები ოთახიც ცალკე აქვთ ყველას გამართული. სასტუმრო ოთახში არავინ არ უნდა სცხოვრებდეს, სუფთად დალაგებული უნდა იყოს და მორთული სკამებით, სტოლითა და სხვ.

ბარის ოსეთში სულ რვა სკოლაა, რომელთაც ინახავს თავის ხარჯით კავკასიაში მართ-მადიდებლის ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება.

ქართველი ოსებში

გაგზავნონ ხოლმე ფოსტით გასაგზავნი სხვა-და-სხვა ნივთები. ტყავის ტომრები, რომელშიაც ნივთები უნდა ჩაეწყონ ხოლმე, ბურთივით რგვალი იქნება და გორაობით ივლის მილებში.

— ბისმარკმა ამას წინად რომ დიდი არაყის სახდელი ქარხანა გამართა, ამ ჟამად ლუდის სახდელ ქარხნის გამართვასაც აპირებს ვარცინაში და ამის შესახებ უკვე მოლაპარაკებაცა აქვს ფულის პატრონებთან. ბისმარკი ადგილს უთმობს ქარხნის გასამართავად და ქირად წელიწადში 3 ათასი მარკა ფული უნდა მიიღოს. ამასთანავე პირობის წერილში მოხსენებული იქნება, რომ 50 წლს შემდეგ, თუ ქარხნის საქმე კარგად წავიდა, ბისმარკის მემკვიდრეებს ნება ჰქონდეთ, გამოიყიდონ ქარხანა. იმედი აქვთ, რომ ამ ქარხნის ლუდი უფრო გაიყიდება, ვიდრე სხვა ქარხნებში, რადგან ბისმარკის სახელი ბევრს მუშტარს შესძენს. ამ ამბის გამო „Freisinnige Zeitung“-ს შემდეგი ადგილი მოჰყავს იმ სიტყვიდგან, რომელიც 1881 წელს ბისმარკმა წარმოსთქვა გერმანიის რეიხსტაგში: „ლუდი თავს აძმობს, მარდებს უდუნებს კაცსა და ამიტომ ეს სასმელი მავნე და მაწყინარ სასმელად უნდა ჩაითვალოს ეკონომიურის და ეროვნულის მხრით“.

— წელს მონაკოში 87 კაცმა მოიკლა თავი ქაღალდში ფულის წაგების გამო.

# დეპეშა

4 ნოემბერი

**პეტერბურგი.** მინისტრთა კომიტეტში შეტანილია პროექტი იმის შესახებ, რომ ხაზინის ხარჯით გაყვანილ იქმნას რკინის გზა სევასტოპოლის სადგურ ჯანკოდგან თეოდოსიამდეო.

„Бирж. Вѣд.“-ი იუწყება, რომ რადგან ინგლისი ფულის მხრივ ძალიან გაჭირებულია, უეჭველია, საფრანგეთის ბანკს გარდა, ინგლისის ბანკს დახმარებას გაუწევს ჩვენი სახელმწიფო ბანკიც და $1^1/_2$ მილიონ გირ. სტერლინგს აძლევსო.

**ათინა.** სასახლეში მშვენიერი ბალი იყო. დაესწრნენ ყველა მინისტრნი, ელჩნი და რუსეთისა და საფრანგეთის ესკადრის აფიცრები. ბალი დაიწყო მემკვიდრე ცესარევიჩმა და პირველად იგი ეთამაშა კადრილს დედოფალს.

5 ნოემბერი

**პეტერბურგი.** „С.-Петерб. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ის იმედი, ვითომ ყირიმისა და კავკასიის თამბაქოს კარგი მოსავალი ექმნება, არ გაგვიმართლდა. ბაზარში უმეტეს ბესარაბის თამბაქო იყიდებაო.

„Новости“ ამბობს, რომ მინისტრთა კომიტეტში შეტანილია პროექტი და განზრახვა აქვთ არხით შეაერთონ ვოლგა და ურალიო. ამ აზრის სისრულეში მოსაყვანად აღნიშნული აქვთ შემდეგი მდინარენი: დიდი ირგიზი და დიდი და პატარა უზუნგეიო.

**ათინა.** მემკვიდრე ცესარევიჩი დარბაზად იყო დედოფლისასა და სხვა ელჩებთან. საბერძნეთის პრინცი გიორგი ინდოეთში გაჰყვება მემკვიდრე ცესარევიჩს.

**ლონდონი,** გაჭირება დაადგა გამოჩენილს სახლს „ბერინგს“ იმ მიზეზით, რომ ფული არ გადაიხადეს არგენტინის რესპუბლიკამა და ურუგვაიმ. როგორც ხმა დადის, შემწეობას აღმოუჩენენ ინგლისის ბანკი და სხვა საუაჭრო ფირმები.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ნოემბერი.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 58 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $131^1/_2$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | 1 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 234 |
| —მეორისა . . . . | 213 | — „ | — |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | $213^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიიხა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჟამზე გემები.

# განცხადებანი


## სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—23)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა ჟურნალ „ნობათი“-ს ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება რასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი», — სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ისტორია მართლ-მადიდებელ ეკლესიისა,**

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

**ლექსიკონი**

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ . . . | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы расселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხ მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რაჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| გრამატიკა ჟორდანიასი . | „ | 55 |

## კბილი ალარაჟის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია **1373** წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი ამზადებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Séguin, Bordeaux, rue Croix de Ségucy.

(208—57)

ოქროს



მედალი



თამბაქოს ფაბრიკა

## ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭერილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—20)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი **ექვსი შაური.**

ვინც ერთბაშად **ნაღდს ფულზე** იყიდის **ოც-და-ათს** ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა **ხუთ შაურად.**

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება **ორი შაური.** ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს **„დედა ენას“** წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ **რვა კაპეიკი.**

**„ბუნების კარი“**, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი **თხუთმეტი შაური.**

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის **ათს** ცალს, წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად,** ვინც ოცსა—**ცამეტ შაურად** და ვინც ოც-და-ათს—**სამ აბაზად.** ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ **სამი შაური.**

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

## გამოვიდა და იყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნაკი:

**ქუთაისის ბანკის საქმე.**

წერილები

ილია ჭავჭავაძისა.

გამოცემა ქუთათელისა.

ფასი ერთი შაური.


Доз. цен. Тифлисъ, 5-го Ноября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე